ხელშეკრულება № II - 1/203
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 4 ნოემბერი 2013წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ლევან ძნელაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი", მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის (თანახმად მინდობილობისა №1264, გაცემული 2013 წლის 27 სექტემბერს) დიღმის სავაჭრო ობიექტის ხელმძღვანელის თეიმურაზ ჩიხლაძის სახით, (შემდგომში - მიმწოდებელი), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკუთარი შემოსავლების სახსრებიდან, აკუმულატორები, პირველადი ელემენტები და პირველადი ბატარეების (CVP31400000) ფარგლებში საქონლის შეძენა.

2. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის კუთვნილი ავტომანქანა "მიცუბიში პაჯეროსათვის" (სახ. № SAK737) შემდეგი საქონლის (CVP31430000 – ელექტრო აკუმულატორები) შესყიდვა:

(ლარი)

№	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით	სულ თანხა დღგ-ს ჩათვლით
1	აკუმულატორი (ვარტა ბლუ 95 ა/ს G-7)	ცალი	1	270.00	270.00

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს 270.00 (ორას სამოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, (საქონლის ღირებულება მოიცავს მონტაჟის ღირებულებასაც).

3. საქონლის შესყიდვის ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: 2013 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-6კვ. 22ბ. კორპ.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემოწმებით თუ საქონელი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას, მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც თავიანთი ხელმოწერითა და ბეჭდით უნდა დაამოწმონ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილმა პირებმა.

4.2. საქონელი ჩაითვლება შესყიდულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად მიღებული საქონლის შესაბამისად წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადებისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.1.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს დეტალური ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის შესახებ.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაიხადოს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ოდენობით;

6.2.2. შესყიდული საქონელის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს და მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა;

6.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

6.4.2.მიწოდებული საქონლის ნაკლოვანების შემთხვევაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს აღნიშნული ნაკლის გამოსწორება;

6.4.3.მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

6.4.4.წინასწარ აცნობოს შემსყიდველს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

6.4.5.ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას შეიძლება მიადგეს უფლებრივად და ნივთობრივად ნაკლის მქონე საქონლის მიწოდების გამო.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების, ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეებს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1% ყოველ გადაცილებულ დღეზე.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა ხორციელდება მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი საქონლის ღირებულებიდან შესაბამისი თანხის გამოქვითვის საშუალებით.

7.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების ვალდებულებისაგან.

7.5. თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს საანგარიშსწორებო პერიოდისათვის მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და არსებული სტანდარტების მოთხოვნებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ტრანსპორტის მართვის ჯგუფის მენეჯერი - ზაზა მესხი.

9. გარანტია

9.1. მიმწოდებლის მიერ მოწოდებულ საქონელზე აკუმულატორზე (აკუმულატორი - ვარტა ბლუ 95 ა/ს G-7) გარანტია ვრცელდება 1 (ერთი) წელი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

12.2. მიმწოდებელს უფლება აქვს ვადაზე ადრე მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

12.3. ხელშეკრულებით ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მიწოდებული საქონელის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ნებისმიერი უთანხმოება და დავა.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

14. დასკვნითი დებულებანი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით.

14.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაზე მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“	შპს „თეგეტა მოტორსი“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.	ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. №5.
ტელ: 298-21-35	ტელ/ფაქსი: 224-44-44,
საიდენტ: 204468664	საიდენტ: 202177205
სს „ლიბერთი ბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
კოდი: LBRTGE22	კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE67LB0121162038324000	ა/ა: GE80TB 0600 0000 2446 7853
ლევან ძნელაძე	თეიმურაზ ჩიხლაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე	დიღმის საგაჭრო ობიექტის ხელმძღვანელი